მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №23

2022 წლის 16 მარტი

ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით: 1537 კვ.მ და მასზე განთავსებული №1; №2 ; №3 ნაგებობები ს.კ: 41.08.36.487) მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრისთვის ს.ნ: 235447628 უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის

მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე–2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტის შესაბამისად მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს, მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრს ს.ნ: 235447628 უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადასცეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება (არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით: 1537 კვ.მ და მასზე განთავსებული №1; №2; №3 ნაგებობები ს.კ: 41.08.36.487) მდებარე მარტვილის მუნიციპალიტეტი სოფ. ხუნწის ადმინისტრაციულ ერთეულში.
2. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უზუფრუქტის წესით გადაცემული ქონება (საკ. კოდი 41.08.36.487) დაუბრუნდეს მესაკუთრეს, მარტვილის მუნიციპალიტეტს.
3. განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა